თანაკლუბელთა მატჩი

სოჭი. (ტელეფონით, ჩვენი სპეც კორ.) დიდი ინტერესს იწვევდა 26 თებერვლის ამხანაგური საკონტროლო მატჩი ფეხბურთში კიევისა და თბილისის დინამოელთა შორის, შეხვედრას მრავლად დაესწრნენ გულშემატკივრები ზღვისპირეთის სხვადასხვა ქალაქიდან და რაიონიდან.

მაყურებელთა ინტერესი ყოველმხრივ გაამართლა მატჩის მსვლელობამ, მისმა დაძაბულობამ. თბილისელებმა მაღალი ტემპი შესთავაზეს მეტოქეს, რამდენიმე ძლიერი, სწრაფი შეტევაც განახორციელეს. ამ იერიშებისას ბურთი ორჯერ აღმოჩნდა კიეველთა კარში ყიფიანისა და ჩელებაძის დარტყმების შემდეგ, მაგრამ არბიტრმა პ. კაზაკოვმა (მოსკოვი) ორივე შემთხვევაში წესის დარღვევა აღნიშნა თბილისელთა მხრივ. ამას გარდა, იყო ანგარიშის გახსნის სხვა ხელსაყრელი მომენტებიც (ყიფიანი, გუცაევი, ჩელებაძე), მაგრამ საბოლოო დარტყმები არაზუსტი გამოდგა.

კიეველები ორგანიზებულად იცავდნენ თავს და ყოველ შესაძლებლობასაც იყენებდნენ კონტრშეტევისთვის. ერთ–ერთი კონტრშეტევა 85–ე წუთზე გოლით დაამთავრა ბერეჟნოიმ, რომელმაც ისარგებლა მოპირდაპირე მცველებისა და მეკარის შეუთანხმებლობით და წამით დაასწრო მათ – 1:0.

თბილისის "დინამომ", დამარცხების მიუხედავად, ამ მატჩში კარგი შთაბეჭდილება დატოვა. იგრძნობა საფუძვლიანი, გულმოდგინე მზადება, მოთამაშეთა მონდომება განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ თავდასხმაში ყიფიანი, დაცვაში ჭილაია და ნახევარდაცვაში – კოპალეიშვილი.

გუნდმა მატჩი ასეთი შემადგენლობით ჩაატარა: გოგია, ხიზანიშვილი, ქორიძე, ხინჩაგაშვილი, ჭილაია, გ. მაჩაიძე, მ. მაჩაიძე, კოპალეიშვილი, გუცაევი, ყიფიანი, ჩელებაძე.

სხვათა შორის, მატჩის დამთავრების შემდეგ თბილისის "დინამოს" ხელმძღვანელობამ პრეტენზიით მიმართა არბიტრს 2 ჩაუთვლელი გოლს თაობაზე, პ. კაზაკოვმა აღიარა, რომ მან მართლაც დაუშვა უზუსტობა.

”ლელო” 1.03.1977 წ.